საინვესტიციო გადაწყვეტილებები ტრანსნაციონალურ კომპანიებში



საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაც, ნაწილობრივ განპირობებულია სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებით, რომელმაც შეამცირა ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის ხარჯები. ასევე, ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარების საქმეში მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მიმოქცევაზე შეზღუდვების შემცირებაც. საერთაშორისო ბაზრებთან სწრაფი ინტეგრირება ქმნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს და ამავე დროს, ზრდის რისკის ფაქტორსაც გარემოს სწრაფი ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების გამო. სწორედ, ეს მოვლენები მოგვცემს საშუალებას საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირებით გამოწვეული სარგებლიანობის მაქსიმიზაციისა და რისკების მინიმიზებისა.

ფინანსური მენეჯმენტის კომპეტენციას მიეკუთვნება ურთიერთდაკავშირებული გადაწყვეტილებები, კერძოდ:

- გადაწყვეტილებები ინვესტიციების შესახებ - საქმიანობის რომელი სახეები დაფინანსდეს;
- გადაწყვეტილებები დაფინანსების შესახებ - როგორ დაფინანსდეს საქმიანობის ეს სახეები;
- გადაწყვეტილებები ფულადი სახსრების მართვის შესახებ - როგორ მოხდეს კომპანიის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა.

საერთაშორისო ბიზნესში გადაწყვეტილებები ინვესტირების, დაფინანსების და ფულადი სახსრების მართვის შესახებ გართულებულია, რადგან ქვეყნებს აქვთ სხვადასხვა ვალუტა, განსხვავებული დაბეგვრის სისტემები, განსხვავებული კანონები კომერციული საქმიანობის დაფინანსების შესახებ, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკების განსხვავებული დონეები და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწონებული ფინანსური მენეჯერის მიერ, როდესაც მიიღებს გადაწყვეტილებებს თუ საქმიანობის რომელი სახე დაფინანსდეს, როგორ მოხდეს მათი დაფინანსება და კომპანიის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა და როგორ უნდა იყოს კომპანია უფრო სამიმედოდ დაცული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებისაგან.

ფინანსური მენეჯმენტი ყოველთვის არის კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი წყარო. ყველა კომპანიამ კონკურენტურანიანობა უნდა გაიხადოს სტრატეგიულ მიზნად. კონკურენტული უპირატესობის შექმნა მოითხოვს კომპანიის ღირებულების შექმნის ხარჯების შემცირებას, რომელიც შესაძლებელია კაპიტალის ღირებულებისა და სავალუტო კურსების ცვლილებების გამო ზარალის შემცირების, საგადასახადო გადახდების სიდიდის და სარისკო ფინანსურ გარიგებებში კომპანიის მონაწილეობის შემცირების, კომპანიის ფულადი ნაკადების და რეზერვების ყველაზე ეფექტიანი მართვის საშუალებით. გარდა ამისა, კარგი ფინანსური მენეჯმენტი ხელს უწყობს მომსახურების გაუმჯობესებას, რაც, ასევე ეხმარება დამატებითი ღირებულების შექმნას.

კონკრეტულ ქვეყანაში გარკვეული სახის საქმიანობაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული ცვლილების გათვალისწინებით. საერთაშორისო კომპანიაში ფინანსური მენეჯერის ერთ-ერთი როლი მდგომარეობს იმაში, რომ მან სცადოს რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვა სარგებლის, დანახარჯების და რისკებისა, რომლებიც ასოცირდებიან ინვესტიციებთან უცხოეთის ქვეყანაში. ამ საკითხის გადაწყვეტა ხდება კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდების დხმარებით, რომლის მეშვეობითაც ხდება ინვესტიციების სარგებლის, დანახარჯების და რისკების რაოდენობრივი შეფასება. ეს ტოპ-მენეჯერებს საშუალებას აძლევს, რომ საკმარისად ობიექტურად შეადარონ საინვესტიციო ვარიანტები სხვადასხვა ქვეყნებში, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ კომპანიამ სად უნდა მოახდინოს თავისი შეზღუდული ფინანსური რესურსების ინვესტირება. უცხოური პროექტისათვის კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი იყენებს იმავე თეორიულ სქემებს, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივ პროექტებში კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზის დროს, ანუ უპირველეს ყოვლისა, კომპანიამ უნდა შეაფასოს ფულადი ნაკადები, რომლებიც პროექტთან ასოცირდებიან. თავიდან, უმეტეს შემთხვევაში, ფულადი ნაკადი იქნება უარყოფითი, რადგან კომპანიას

მოუწევს საწარმოო სიმძლავრეებში დიდი რადენობის სახსრების ჩადება. თუმცა რაღაც დროის შემდეგ ფულადი ნაკადი დადებითი იქნება, რადგან საინვესტიციო დანახარჯები შემცირდება, ხოლო გაიზრდება შემოსავლები. ფულადი ნაკადების შეფასების შემდეგ საჭიროა მათი დისკონტირება, რათა დისკონტირების შესაბამისი განაკვეთის დახმარებით განისაზღვროს მათი მიმდინარე ღირებულება. ჩვეულებრივ, დისკონტირების განაკვეთი არის კომპანიის კაპიტალის ღირებულების ან შემოსავლიანობის განაკვეთის ტოლი. თუ ფულადი სახსრების დისკონტირებული ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულზე მეტი იქნება, მაშინ კომპანიისათვის ხელსაყრელია მოცემული პროექტის რეალიზაცია.

დაგეგმილი კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი რთული პროცესია და დაკავშირებულია ფაქტორებთან, რომლებიც ართულებენ ამ პროცესს საერთაშორისო კომპანიისათვის, კერძოდ:

1. განსხვავება პროექტისაკენ მიმართულ ფულად ნაკადებსა და დამფუძნებელ კომპანიაში დაბრუნებულ ფულად ნაკადებს შორის;
2. უცხოური ინვესტიციების ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო რისკის გამო;
3. დამფუძნებელ კომპანიაში შემავალი ფულადი ნაკადებისა და დაფინანსების წყაროს შორის კავშირი.

უცხოური პროექტის ანალიზის თვალსაზრისით, არსებობს თეორიული არგუმენტი დამფუძნებელი კომპანიისთვის, ვინაიდან პროექტში მიმართული ფულადი ნაკადები ისეთივე არ არის, როგორც დამფუძნებელ კომპანიაში. რამდენიმე მიზეზის გამო შეიძლება პროექტმა დამფუძნებელ კომპანიას მთელი ფული არ დაუბრუნოს. მაგალითად, ფულადი ნაკადები შეიძლება დაიბლოკოს უცხოეთის ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, დაიბეგროს ძალიან მაღალი განაკვეთით ან უცხოეთის ქვეყნის მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს პროექტიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული პროცენტის რეინვესტირება ადგილობრივ ეკონომიკაში. ეს შეზღუდვები გავლენას არ ახდენენ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე, თუმცა გავლენას ახდენს დამფუძნებელი კომპანიის პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე, რადგან შემცირდება პროექტიდან დამფუძნებელ კომპანიაში მიმავალი ფულადი ნაკადები.

უცხოური საინვესტიციო შესაძლებლობის შეფასების დროს დამფუძნებელი კომპანია უნდა დაინტერესდეს იმ ფულადი ნაკადებით, რომელსაც ის მიიღებს და ასევე იმ ფულადი ნაკადებითაც, რომლებსაც ზოგადად წარმოშობს პროექტი, რადგან ეს ნაკადები ქმნიან საფუძველს აქციონერებისთვის დივიდენდების გადასახდელად, სხვა ინვესტიციებისათვის, კორპორატიული ვალების დასაფარავად და სხვა. დაბლოკილ შემოსავლებს აქციონერები არ ითვალისწინებენ კომპანიის ღირებულების გაზრდაში, ასევე კრედიტორები მათ მხედველობაში არ მიიღებენ დამფუძნებელი კომპანიის მიერ თავისი ვალის მომსახურების უნარის შეფასების დროს.

თუმცა დაბლოკილი შემოსავლების პრობლემა დღეს ისე სერიოზული აღარ არის, როგორც ადრე. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მზარდმა განვითარებამ გამოიწვია იმ ქვეყნების რიცხვის შემცირება, რომლებშიც მთავრობას შეუძლია უცხოური ტნკ-ის შვილობილ კომპანიებს აუკრძალოს დამფუძნებელი კომპანიებისათვის ფულადი სახსრების გადაგზავნა. ამავე დროს, უცხოურ შვილობილ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, თავი აარიდონ იმ შეზღუდვებს, რომლებიც კაპიტალის გატანაზე დააწესეს უცხოეთის ქვეყნების მთავრობებმა.

უცხოური საინვესტიციო შესაძლებლობის ანალიზის დროს კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს ის პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები, რომლებიც უცხო ქვეყანაში არსებობენ. პოლიტიკური რისკის კონცეფცია განისაზღვრება როგორც ალბათობა იმისა, რომ პოლიტიკური ძალები ქვეყნის ბიზნეს



გარემოში გამოიწვევენ სერიოზულ ცვლილებებს, რომლებიც კომპანიას არ მისცემს მის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევის საშუალებას.

ჩვეულებრივ, პოლიტიკური რისკი უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს სოციალურ მღელვარებებს. პოლიტიკურმა და სოციალურმა მღელვარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც გამოიწვევს კომპანიის აქტივების გაუფასურებას, გადასახადების განაკვეთების ზრდას, სავალუტო კონტროლის შემოღებას, ყოველივე ეს კი ზღუდავს ან ბლოკავს უცხოური შვილობილი კომპანიის მიერ თავისი შემოსავლების დამფუძნებელ კომპანიაში გადარიცხვის შესაძლებლობებს. ნებისმიერი ამ მოვლენის დადგომის ალბათობა ამცირებს საინვესტიციო შესაძლებლობის მიმზიდველობას.

პოლიტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს უცხოური კომპანიების ქონების ჩამორთმევა. ბოლო წლებში ქონების ჩამორთმევის რისკი თითქმის ნულამდე შემცირდა. მაღალი პოლიტიკური რისკის დროს დიდია ალბათობა იმისა, რომ ქვეყანაში მოხდება პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა, რაც საფრთხეს შეუქმნის იქ მომუშავე უცხოურ კომპანიებს.

ეკონომიკური რისკის კონცეფცია გულისხმობს, რომ ეკონომიკის მართვის პროცესში დაშვებული შეცდომები გამოიწვევენ ქვეყნის ეკონომიკური პირობების სერიოზულ ცვლილებებს, რაც კომპანიას არ მისცემს დაგეგმილი მოგების მიღებისა და სხვა მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის საშუალებას. როგორც წესი, ყველაზე სერიოზული პრობლემა არის ინფლაცია. ტრადიციულად, ქვეყნების უმრავლესობა ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას უშედეგოდ ცდილობს ფულის შიდა მიწოდების გაზრდით და მცირე რაოდენობის საქონლისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით ფული, რის შედეგად წარმოიშობა ფასების ინფლაცია. ფასების ინფლაცია გამოიხატება სავალუტო ბაზარზე ეროვნული ფულადი ერთეულის ღირებულების შემცირებით, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის უცხოურ კომპანიას, რომელსაც აქტივები აქვს ამ ქვეყანაში, რადგან კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან მიღებული ფულადი ნაკადების ღირებულება მცირდება ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, შედეგად კი, მცირდება ინვესტირების მიმზიდველობაც.

უცხოური საინვესტიციო შესაძლებლობის ანალიზის დროს, საჭიროა ნებისმიერი დამატებითი რისკის განხილვა, რომელიც გულისხმობს, უცხოური პროექტებისათვის დისკონტირების განაკვეთის გაზრდას მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების მქონე ქვეყნებში. რაც უფრო მაღალია დისკონტირების განაკვეთი, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადები, რადგან ინვესტირების შედეგად იყოს დადებითი წმინდა მოსალოდნელი ღირებულება.

როგორც წესი, დისკონტირების განაკვეთის კორექტირება კონკრეტული ქვეყნის რისკის გათვალისწინებით გავრცელებული პრაქტიკაა. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შეფასება მიეკუთვნება არა უახლოეს შესაძლო მოვლენებს, არამედ უფრო შორეულ პერსპექტივას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ისეთი რისკიანი პროექტების შესაფასებლად, გამოყენებული არ უნდა იყოს დისკონტირების უფრო მაღალი განაკვეთი, არამედ უმჯობესია, რომ პროექტიდან მიღებული მომავალი ფულადი ნაკადები შეფასდეს უფრო დაბალი დისკონტირების განაკვეთის გამოყენების საშუალებით, რადგან მომავალში მოხდეს არახელსაყრელი პოლიტიკური ან ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინება.

დაფინანსების შემთხვევების განხილვის დროს მნიშვნელოვანია თუ როგორ მოხდება უცხოური ინვესტიციების დაფინანსება. თუ საჭიროა გარე დაფინანსება, მაშინ კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, აუცილებელი სახსრების მისაღებად საჭიროა თუ არა კაპიტალის გლობალური ბაზარი, თუ ფულს საზღვარგარეთ ისესხებს. ასევე, აუცილებელია კომპანიამ გადაწყვიტოს, თუ როგორი უნდა იყოს უცხოური შვილობილი კომპანიის ფინანსური სტრუქტურა.

თუ კომპანია აპირებს პროექტისათვის გარე დაფინანსების წყაროს მოძიებას, მაშინ ის ფულს ყველაზე იაფი წყაროსაგან ისესხებს. როგორც წესი, კომპანიები სულ უფრო ხშირად მიმართავენ კაპიტალის გლობალურ ბაზრებს, რადგან მათი სიდიდისა და ლიკვიდობის გამო ამ ბაზარზე კაპიტალის ღირებულება უფრო ნაკლებია კაპიტალის ბევრ ადგილობრივ ბაზართან შედარებით.

თუმცა, ფინანსური მომსახურების ბაზრის დერეგულირების ტენდენციის მიუხედავად, ზოგჯერ უცხოური ქვეყანის საკანონმდებლო შეზღუდვებმა ეს ვარიანტი შეიძლება შეუძლებელი გახადონ. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა მოითხოვს, ან უკიდურეს შემთხვევაში რეკომენდაციას იძლევა, რომ უცხოურმა ტნკ-მა ამ ქვეყნებში პროექტები დააფინანსონ ადგილობრივი სესხების საშუალებით ან ადგილობრივ ბაზრებზე აქციების გაყიდვით. იმ ქვეყნებში, სადაც ლიკვიდობა შეზღუდულია, ეს ზრდის პროექტის დასაფინანსებლად გამოყენებული კაპიტალის ღირებულებას. ასე რომ, განსაზღვრული კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზის დროს ამ ფაქტის გათვალისწინებით დისკონტირების განაკვეთი უნდა გაიზარდოს. თუმცა ეს შესაძლებლობა ერთადერთი არ არის. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ზოგიერთი მთავრობა უცხოური კომპანიებს სთავაზობს სესხებს დაბალი პროცენტით, რათა შემცირდეს კაპიტალის ღირებულება. შესაბამისად, განსაზღვრული კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზის დროს ასეთ შემთხვევებში დისკონტირების განაკვეთი უნდა შემცირდეს.

კაპიტალის ღირებულებასა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებაზე საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობების პოლიტიკის გავლენის გარდ, ასევე გასათვალისიწინებელია შემდეგი ფაქტიც: იმ ქვეყნებში, სადაც მოსალოდნელია სავალუტო ბაზარზე ადგილობრივი ფულადი ერთეულის გაუფასურება, კომპანიამ შეიძლება განიხილოს ადგილობრივი სესხების ხარჯზე ინვესტიციების დაფინანსების ვარიანტი.



ადგილობრივი ვალუტის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საპროცენტო გადახდებისთვის და ადგილობრივი სასესხო ვალდებულებების ძირითადი თანხის დასაფარად, არ შეიცვლება, როდესაც ქვეყნის ვალუტა უფასურდება. მაგრამ თუ აუცილებელია უცხოური სასესხო ვალდებულების მომსახურება, მაშინ ამისათვის საჭირო უცხოური ვალუტის რაოდენობა გაიზრდება ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შესაბამისად, რაც ნამდვილად გაზრდის კაპიტალის ღირებულებას. ასე რომ, უცხოეთში ადგილობრივი სესხების შემთხვევაში კაპიტალის საწყისი ღირებულება შეიძლება უფრო მაღალი იყოს, მაგრამ ზოგჯერ უფრო ხელსაყრელია ფულის სესხება ადგილობრივ ვალუტაში, თუ სავალუტო ბაზარზე მისი კურსი შემცირდება.

როგორც სესი, სხვადასხვა ქვეყნებში დაფუძნებულ კომპანიებს განსხვავებული ფინანსური სტრუქტურა გააჩნიათ. ფინანსური სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება სასესხო ვალდებულებების და სააქციო კაპიტალის თანაფარდობა, რომლებიც ბიზნესის დაფინანსებისათვის გამოიყენება. სხვადასხვა ქვეყანებში არსებული განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმები განსაზღვრავენ სესხების და აქციების გამოშვების მიმზიდველობას.

საერთაშორისო კომპანიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უნდა დაიცვას თუ არა მან კაპიტალის სტრუქტურის ადგილობრივი ნორმები. ადგილობრივი ნორმების დაცვის სასარგებლოდ არგუმენტების მცირე რაოდენობა არსებობს. ამ მიდგომის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ უცხოური შვილობილი კომპანიების მენეჯმენტისათვის აქციონერულ კაპიტალზე შემოსავლიანობის შეფასება უფრო მარტივია, ამავე დარგის ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით. თუმცა ეს სუსტი არგუმენტია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის. კიდევ ერთი ხშირად გამოყენებული არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ნასესხები სახსრების ადგილობრივი, უფრო მაღალი ნორმების დაცვას შეუძლია გააუმჯობესოს იმ უცხოური შვილობილი საწარმოების იმიჯი, რომლებსაც ჰქონდათ სესხების დაბალი წილი და ამის გამო, ადგილობრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ მგრძნობიარენი არ იყვნენ. თუმცა ეს არგუმენტიც არ გამოიყურება ძალიან დამაჯერებლად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია რომ საერთაშორისო კომპანიამ თითოეული უცხოური შვილობილი კომპანიისათვის დაადგინოს ისეთი ფინანსური სტრუქტურა, რომელიც მოახდენს მისი კაპიტალის ღირებულების მინიმიზირებას, იმის მიუხედავად, ეს სტრუქტურა ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება თუ არა.

გადაწყვეტილებები ფულადი სახსრების მართვის შესახებ წარმოადგენს კომპანიის გლობალური ფინანსური რესურსების მართვის ყველაზე ეფექტიან მცდელობებს, რომელიც მიმართულია ნაღდი ფულის გადინების და საოპერაციო ხარჯების შემცირებისკენ. ნებისმიერ მომენტში კომპანიას უნდა გააჩნდეს ნაღდი ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საჭიროა ანგარიშების მომსახურებისათვის, დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციების გადახდის და ნაღდი ფულის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპანია, როგორც წესი, ნაღდ ფულს განათავსებს ფულის ბაზრის ანგარიშებზე, რომელიც მოუტანს საპროცენტო შემოსავალს. თუმცა, კომპანიას უნდა ჰქონდეს ანგარიშებიდან ფულის შეუფერხებლად მოხსნის შესაძლებლობა. ჩვეულებრივ, ასეთი ანგარიშებზე საპროცენტი განაკვეთი შედარებით დაბალია. ამავე დროს, კომპანია შეძლებდა უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავლის მიღებას, თუკი ნაღდი ფულის მარაგების ინვესტირებას მოახდენდა გრძელვადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში. მაგრამ გრძელვადიანი ინსტრუმეტების გამოყენება მოუხერხებელია იმის გამო, რომ კომპანიას ინსტრუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე თავისი ფულის უკან დაბრუნება სერიოზული ფინანსური დანაკარგების გარეშე არ შეუძლია. არსებობს დილემა, თუ კომპანია ნაღდ ფულს განათავსებს ფულადი ბაზრის ანგარიშებზე, მაშინ ის უზრუნველყოფს შეუზღუდავ ლიკვიდურობას, მაგრამ ღებულობს შედარებით დაბალ საპროცენტო შემოსავალს. თუ კი, კომპანია ნაღდ ფულის ინვესტირებას მოახდენს გრძელვადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში, მაშინ ის მიიღებს უფრო მაღალ საპროცენტო შემოსავალს, მაგრამ შემცირდება მისი აქტივების ლიკვიდურობა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ტრანზაქციური ხარჯები, რომელიც კომპანიას წარმოეშობა ნაღდი ფულის კონვერტირებისას ერთი ვალუტიდან მეორეში. როგორც წესი, ტრანზაქციის შესრულებისთვის კომპანია სავალუტო დილერს უხდის საკომისიო ჯილდოს. ასევე, ტრანზაქციური ხარჯების კიდევ ერთი ნაირსახეობაა ბანკების მიერ საკომისიო გადასახადის დაკისრება ტრანსფერისათვის, ანუ ნაღდი ფულის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადარიცხვისთვის. კონვერტაციასა და შიდასაფირმო ტრანზაქციების შედეგად წარმოშობილ ტრანსფერზე საკომისიო გადასახადების საერთო სიდიდე შეიძლება საკმაოდ მაღალი იყოს. გაეროს მონაცემებით, საერთაშორისო ვაჭრობაში გარიგებების 40% მოდის ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოურ შვილობილ საწარმოებს შორის გარიგებებზე. მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციას შეუძლია შეამციროს ტრანზაქციების რიცხვი ტნკ-ის შვილობილ საწარმოებს შორის, რითაც შემცირდება საერთო დანახარჯები ვალუტის კონვერტაციასა და ფულადი სახსრების გადარიცხვებზე.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული საგადასახადო რეჟიმები გააჩნიათ. ქვეყნების უმრავლესობა ეთანხმება მსოფლიო საერთო პრინციპს, რომლის თანახმად მათ უფლება აქვთ დაბეგრონ შემოსავალი, რომელიც მოცემულ ქვეყანაში დარეგისტრირებულმა კომპანიებმა მიიღეს ამ ქვეყნის ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ორმაგ დაბეგვრას ადგილი აქვს მაშინ, როცა უცხური შვილობილი კომპანიის შემოსავალი იბეგრება უცხოეთის ქვეყანაშიც და იმ ქვეყანაშიც, სადაც დამფუძნებელი კომპანია მდებარეობს. მაგრამ ორმაგი დაბეგვრა გარკვეულ წილად შერბილებულია საგადასახადო გამოქვითვების და გადასახადის გადახდის შესახებ შეთანხმებების მოქმედებისა და ასევე, გადავადების პრინციპის მეშვეობით. საგასახადო გამოქვითვა კომპანიას საშუალებას აძლევს, რომ მან თავისი მთავრობისათვის გადახდილი გადასახადის სიდიდე შეამციროს უცხოეთის სახელმწიფოს მთავრობისათვის გადახდილი გადასახადის სიდიდემდე. ორ ქვეყანას შორის გადასახადის გადახდის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულია, თუ შემოსავლის რომელი მუხლები დაიბეგრება იმ ქვეყნის მთავრობის გადასახადით, სადაც ეს შემოსავალი იყო მიღებული. გადავადების პრინციპი აზუსტებს, რომ დამფუძნებელი კომპანიების მიერ უცხოური წყაროებიდან მიღებული შემოსავალი არ დაიბეგრება მანამდე, ვიდრე დამფუძნებელი კომპანიები არ მიიღებენ მათ კუთვნილ დივიდენდებს.

გელა წიკლაური,
თსუ, ფინანსები და საბანკო საქმის კათედრის მოწვეული პროფესორი

ლიტერატურა:

1. პაპავა ვლადიმერ. „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“ თბილისი 2005

2. კვარაცხელია დემნა. „გლობალიზაცია სუვერენული სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკა“ თბილისი 2003

3. ნ. შარაძე. „მსოფლიოს გლობალური ეკონომიკური განვითარება და მისი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე“ ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“ 2001 წ. #11

4. Global Competitiveness Report 2005-2006. World Economic Forum, Geneva, Switzerland, 2006

5. Социально-экономическая эффективность: опыт США. Ориентир на глобализацию Под ред. Э.В. Кириченко, М.: Наука, 2002

INVESTMENT DECISIONS IN TRANSNATIONAL COMPANIES

Gela Tsiklauri, TSU Invited Professor
Department of Finance and Banking

SUMMARY

Fast integration with international markets creates opportunities for economic development and at the same time increases the risk factor due to rapid changes of environment and cash flow. These events give us possibility to determine utility maximization and risk minimization caused by integration with international markets. Decisions in international business about investment, financing and cash management is complicated because countries have different currencies, different taxation systems, different laws about financing of commercial activities, different levels of economic and political risks, etc. Decision about investing in particular country in a certain kind of activity should be made by taking in consideration economic, political, cultural and strategic changes. The role of financial manager in international organization is quantitative access of benefits, costs and risks associated with investments in foreign country. In order to solve this issue, methods of capital investment analysis should be used, according to this, quantitative assessment of investment benefits, costs and risks will be possible.